

ძირითადი ინფორმაცია | APPEAR III | 2020-2027

მიზანი

APPEAR-ს შეაქვს წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში (SDGs). საერთო მიზანი არის სამეცნიერო საფუძვლებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება პარტნიორ ქვეყნებში უმაღლესი განათლების, კვლევისა და მენეჯმენტის სფეროში ავსტრიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აკადემიური პარტნიორობისა და სამაგისტრო და სადოქტორო სტიპენდიების საშუალებით. აგრეთვე, APPEAR-ი მიზნად ისახავს გაზარდოს ავსტრიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო თანამშრომლობა და განვითარების ვალდებულები.

APPEAR-ი არის ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პროგრამა (ADC), რომელიც მიზნად ისახავს მისი სტრატეგიის შემუშავებას უმაღლესი განათლების მხარდაჭერისა და აკადემიურ ინსტიტუციურ დონეზე განვითარების კვლევისთვის. იგი ხორციელდება ADC-ის 11 პრიორიტეტულ ქვეყანაში და წამყვან რეგიონებში, რომლებიც მდებარეობს აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ კავკასიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში.

უფლებამოსილი ქვეყნები

- ბურკინა ფასო, ეთიოპია, უგანდა, მოზამბიკი
- ბუტანი
- პალესტინა
- სომხეთი, საქართველო
- ალბანეთი, კოსოვო (გამოიყენება სპეციალური მოთხოვნები) და მოლდავეთის რესპუბლიკა

პროგრამის თემატური მიმართულება

უმაღლეს სასწავლებლებში ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება და კვლევების განვითარება:

- სიღარიბის აღმოფხვრა და ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება - წყალი, სანიტარია, ენერჯია, სურსათის უვნებლობა, მათ შორის, მიზეზობრივი დამოკიდებულების მიდგომა, განათლება ყველასთვის, სოციალური დაცვა და დასაქმება
- ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, ქალებისა და გოგონებისთვის უფლებების მინიჭება, მიგრაცია
- მდგრადი ეკონომიკური განვითარება - პარტნიორ ქვეყნებში კერძო სექტორის განვითარება, მდგრადი ეკონომიკური და ურბანული განვითარება, ციფრული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება განვითარებისათვის, საგადასახადო სისტემის და შიდა შემოსავლებისათვის
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა - კლიმატის ცვლილებისა და მისი ზემოქმედების შერბილება, ეკოსისტემების დაცვა, ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით გამოყენება, მდგრადი ენერჯეტიკა, წყალი და

სანიტარული პირობები

- მშვიდობა, კონფლიქტების პრევენცია, დაცვა და განვითარება, მმართველობა, ჰუმანიტარული დახმარება

დაფინანსების მექანიზმები

დაფინანსების არხები	ხანგრძლივობა	დაფინანსების ოდენობა
Preparatory Funding (მოსამზადებელი დაფინანსება)	4 თვემდე	15,000 ევრომდე
Academic Partnership (აკადემიური პარტნიორობა)	4 წლამდე, რაც დამოკიდებულია განაცხადზე	2 დაწესებულების პარტნიორობა: 50,000-90,000 ევრო წელიწადში პარტნიორობა 2-ზე მეტ დაწესებულებასთან: 50,000-130,000 ევრო წელიწადში
Advanced Academic Partnership (განვითარებული აკადემიური პარტნიორობა)	3 წლამდე, რაც დამოკიდებულია განაცხადზე	
Extended Impact Institutional Partnership (ინსტიტუციური პარტნიორობის გახანგრძლივებული გავლენა)	2 წლამდე, რაც დამოკიდებულია განაცხადზე	
Extended Impact External Partnership (გახანგრძლივებული გავლენის მქონე გარე პარტნიორობა)	3 წლამდე, რაც დამოკიდებულია განაცხადზე	

Preparatory Funding (მოსამზადებელი დაფინანსება)

ეს დაფინანსების არხები მიზნად ისახავს ახალი აკადემიური პარტნიორობის დაწყებას ავსტრიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი განათლებისა და კვლევით ინსტიტუტებს შორის. ამ მცირემასშტაბიანი პროექტების მიზანია შეიმუშაოს ერთობლივი საპროექტო შეთავაზებები APPEAR-ის აკადემიური პარტნიორობისათვის.

Academic Partnership (აკადემიური პარტნიორობა)

დაფინანსების ეს არხები აფინანსებს სიღრმისეულ და მდგრად აკადემიურ თანამშრომლობას უმაღლესი განათლების, კვლევისა და მართვის კუთხით.

Advanced Academic Partnership (განვითარებული აკადემიური პარტნიორობა)

დაფინანსების არხები ხელმისაწვდომია სინდიკატისათვის, რომელმაც წარმატებით დაასრულა APPEAR-ის აკადემიური პარტნიორობის პროექტი. ის აფინანსებს უწყვეტ აკადემიურ თანამშრომლობას, რომელიც იქმნება დასრულებული პროექტების შედეგად და ავითარებს ახალ ინოვაციურ გეგმებს უმაღლესი განათლების თანამშრომლობისა და განვითარების კვლევისათვის.

გახანგრძლივებული გავლენის მქონე პარტნიორობა

დაფინანსების ეს არხები ხელმისაწვდომია სინდიკატისათვის, რომელმაც წარმატებით დაასრულა APPEAR-ის აკადემიური პარტნიორობის პროექტი ან APPEAR-ის განვითარებული აკადემიური პარტნიორობის პროექტი. დაფინანსების არხების მიზანია გააძლიეროს დასრულებული პროექტ(ებ)ის გავლენა მიღებული შედეგების დანერგვასა და გამოყენებაზე. აკადემიური ინსტიტუტების სინდიკატებს შეუძლიათ მოიწვიონ არა-აკადემიური ინსტიტუტები შემოსაერთებლად, და თუ საჭიროა, გავლენის გასაძლიერებლად. გაფართოებული ზემოქმედების მქონე პარტნიორობის ფოკუსიდან გამომდინარე, მისი დიფერენცირება შესაძლებელია შემდეგნაირად:

- **გაფართოებული ზემოქმედების მქონე ინსტიტუციონალური პარტნიორობა:** მიზნად ისახავს ორგანიზაციული და ინფრასტრუქტურული სისტემებისა და კვლევითი პროცესების გაუმჯობესებას, ჩართული პარტნიორი ინსტიტუტების სწავლებასა და მართვას, აძლიერებს კვლევების მიღებას ინსტიტუტებში და ხელს უწყობს აკადემიური ინსტიტუტების რეგიონალურ თანამშრომლობას ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებაში.
- **გაფართოებული გავლენის მქონე საგარეო პარტნიორობა:** მიზნები კვლევის შედეგების დაინტერესებულ მხარეებთან განსახილველად და გამოსაყენებლად (თემები, სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკის შემქმნელებთან), კვლევის გამოსაყენებლად (პოლიტიკისა და პრაქტიკის მტკიცებულებები) ხელს უწყობს SDG-ს პრაქტიკაში მიღწევას.

დაფინანსების ყველა არხი ხელს უწყობს APPEAR-ის საერთო მიზანს პარტნიორ ქვეყნებში უმაღლესი განათლების, კვლევისა და მენეჯმენტის სამეცნიერო საფუძვლებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების გზით და ავსტრიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების ვალდებულების გაზრდით. დაფინანსების ამ არხების მეშვეობით დაფინანსებული პროექტები მიმართულია APPEAR-ის თემატურ სფეროებზე და წვლილი შეაქვს SDGs-ის მიღწევაში.

სახელმძღვანელო პრინციპები პროექტის შემუშავებისა და განხორციელებისათვის

- კოლექტიური მიდგომა
- კულტურულად ფართო თვალსაწიერის მქონე ცოდნის კონცეფცია
- პრაქტიკული და ემპირიული ორიენტაციის მქონე მიდგომა
- გენდერული სენსიტიურობა
- კოლეგიალური და მოთხოვნით განპირობებული მიდგომა
- ყველას ხელშეწყობა
- ღია ხელმისაწვდომობა - ღია მონაცემები

დამატებითი უპირატესობები – ელემენტები, რომელიც გათვალისწინებულია პროექტის შერჩევის პროცესში

- ADC-ის ქვეყნის სტრატეგიების პრიორიტეტებთან შესაბამისობა, ურთიერთმხარდაჭერის გამოყენება ADC-ს მიერ დაფინანსებულ მიმდინარე პროექტებში
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვა APPEAR-ის მრავალფეროვნების სტრატეგიასთან შესაბამისობაში
- რეგიონალური ქსელების და სამხრეთ-სამხრეთის თანამშრომლობის გაძლიერება
- ახალგაზრდა და განსაკუთრებით ქალი მკვლევრების წინსვლა
- პრაქტიკულად ორიენტირებული აქტივობები, რომლებიც აძლიერებს შედეგების

- გამოყენებას, კვლევის პრაქტიკაში გამოყენებას და კვლევის შედეგებს
- პარტნიორ ქვეყნებში დაწესებულების მიერ საპროექტო პასუხისმგებლობა

უფლებამოსილი დაწესებულებები

ავსტრიის დაწესებულებები:

- მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ. მათ შეუძლიათ წარადგინონ და კოორდინაცია გაუწიონ პროექტს.

ინსტიტუტები პარტნიორ ქვეყნებში:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და კვლევითი დაწესებულებები წარმოადგენენ ძირითად სამიზნე ჯგუფებს. მათ შეუძლიათ წარადგინონ და კოორდინაცია გაუწიონ პროექტს.
- სხვა დაწესებულებებს, როგორცაა კვლევითი და სასწავლო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო ცენტრები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ, როგორც დამატებითა პარტნიორებმა. კერძო სექტორის ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩართვა, მაგრამ არ აქვთ დაფინანსების მისაღების უფლებამოსილება. სხვა დაწესებულებებს არ შეუძლიათ პროექტის წარდგენა/კოორდინაცია.

პროექტი უნდა შედგებოდეს მინიმუმ ავსტრიის ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან და პარტნიორი ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო ან კვლევითი დაწესებულებისაგან. ნებისმიერ მათგანს შეუძლია კოორდინატორის როლის მორგება.

პარტნიორი ქვეყნების სხვა დაწესებულებები შეიძლება იყვნენ მხოლოდ დამატებითი პარტნიორები იმ სინდიკატში, რომელიც შედგება პარტნიორ ქვეყანაში მინიმუმ ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ავსტრიაში და ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო ან სამეცნიერო დაწესებულებისგან.

ასოცირებული პარტნიორი ინსტიტუტები:

- ისინი მდებარეობენ ავსტრიის ფარგლებს გარეთ და 11 პარტნიორი ქვეყანაა, რომელიც ჩამოთვლილია [OECD DAC-ის ODA-ს მიმღებთა სიაში](#). მათში შედიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კვლევითი ცენტრები ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ასოცირებული პარტნიორი დაწესებულება უნდა მდებარეობდეს იმავე კონტინენტზე, სადაც მდებარეობს ძირითადი სინდიკატის პარტნიორი დაწესებულება. ასოცირებულ პარტნიორ დაწესებულებას შეუძლია დაფინანსების მიღება. თუმცა, ყველა ასოცირებული პარტნიორი დაწესებულებების ერთობლივი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო ბიუჯეტის 30%-ს. კერძო სექტორის ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩართვა, მაგრამ არ აქვთ დაფინანსების მისაღების უფლებამოსილება.

ევროკავშირის ინსტიტუტები:

- ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შეუძლიათ ჩაერთონ პროექტში, თუმცა არ გააჩნიათ დაფინანსების მიღების უფლებამოსილება.

ალბანეთი და კოსოვო

ალბანეთთან და კოსოვოსთან თანამშრომლობითი პროექტებისთვის სპეციალური მოთხოვნები მოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსების ყველა მექანიზმი ხელმისაწვდომია კოსოვოსა და ალბანეთის ინსტიტუტებთან პარტნიორობისთვის, მხოლოდ

განვითარების კვლევითი პროექტები მიიღებენ დაფინანსებას. დაუშვებელია ისეთი პროექტები, რომელთა მიზანია უმაღლესი განათლება ან მენეჯმენტის შესაძლებლობების გაძლიერება. გარდა ამისა, პროექტები უნდა შეესაბამებოდეს ალბანეთსა და კოსოვოში მოქმედ ADC-ის პრიორიტეტებს. სინდიკატებმა ზედმიწევნით უნდა განმარტონ, თუ რატომ არის პროექტი APPEAR-სთვის საუკეთესო და რატომ არ შეიძლება დაფინანსდეს სხვა პროგრამებით (მაგალითად, ევროკავშირი).

დაფინანსებული ხარჯები

დაფინანსების არხები	პერსონალის ხარჯები	მოგზაურობა და სამივლინებო ხარჯები	აღჭურვილობა და მასალები	გავრცელება	სხვა ხარჯები	ზედნაღები ხარჯები
Preparatory Funding (მოსამზადებელი დაფინანსება)	x	x			x	მაქს.2%
Academic Partnership (აკადემიური პარტნიორობა)	x	x	x	x	x	მაქს.10%
Advanced Academic Partnership (განვითარებული აკადემიური პარტნიორობა)	x	x	x	x	x	მაქს.10%
განანგრძლივებული გავლენის მქონე პარტნიორობა	x	x	x	x	x	მაქს.10%

სამაგისტრო და სადოქტორო სტიპენდიები

APPEAR-ის ერთი მოთხოვნა გახლავთ ის, რომ უმაღლესი განათლების დაწესებულებები უფლებამოსილ ქვეყნებში ზრდიან კვალიფიციური პერსონალის ოდენობას, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება საკუთარი წვლილი შეიტანოს საკუთარ დაწესებულებებში სწავლების, კვლევისა და მენეჯმენტის გაუმჯობესებაში. უფლებამოსილი ქვეყნების სტუდენტები და პროფესიონალები ასრულებენ სამაგისტრო ან სადოქტორო სწავლას ავსტრიის უნივერსიტეტებში. სულ მცირე 70%-იანი სტიპენდიები გადაეცემა სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს, რომლებიც ჩართულნი არიან APPEAR-ის პარტნიორობაში. სულ მცირე 50%-იანი ინდივიდუალური სტიპენდიები გადაეცემათ ქალ განმცხადებლებს.

APPEAR-ის სტიპენდიების ორი ტიპი არსებობს:

- სამაგისტრო და სადოქტორო სტიპენდიები, რომლებიც დანერგილია მიმდინარე APPEAR -ის პარტნიორობაში.
- სადოქტორო პარტნიორობა, რომელიც გახლავთ ინდივიდუალური, ე.ი. არ არის დანერგილი APPEAR-ის პარტნიორობაში.

მოთხოვნები

- განმცხადებელი დასახელებულია მიმმართველი უნივერსიტეტის მიერ. დაწესებულება ადასტურებს, რომ სტიპენდია ემსახურება დაწესებულების

კონკრეტულ მოთხოვნებს და განვითარების საჭიროებებს (მაგ., უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტის გეგმაში) და რომ განმცხადებელი დაქირავებულია და ახლიდან დაიქირავებს დაწესებულება.

- თუ სასწავლო პროექტი (ანუ სტიპენდია) დანერგილია მიმდინარე APPEAR-ის პარტნიორობაში, პარტნიორობის კოორდინატორი აღწერს, თუ როგორ შეუწყობს ხელს სასწავლო პროექტი პარტნიორობის მიზნებს.
- სასწავლო პროექტის დამტკიცების დასტური ავსტრიის იმ დაწესებულების სამეცნიერო ზედამხედველისგან, რომელიც გასცემს სტიპენდიას
- განმცხადებელი ადასტურებს მის სურვილს სასწავლო პროექტის დასრულების შემდეგ დაბრუნდეს სამშობლოში და განაგრძოს შესაბამისი, განვითარებასთან დაკავშირებული მიმართულება.

დაფინანსებული ხარჯები

სამაგისტრო სწავლება: 1,100 ევრო თვეში (48 თვემდე)

სადოქტორო სწავლება: 1,100 ევრო თვეში (48 თვემდე)

სამოგზაურო ხარჯები (მათ შორის, სასწავლო საწარმოო პრაქტიკა სამშობლოში) და დამატებითი გრანტები (გერმანიის კურსი, მონაწილეობა კონფერენციებში/კურსებში, სადისერტაციო ნაშრომის ქვოტები)

განაცხადები

APPEAR III-ში დაფინანსება პირველად გამოცხადდება 2021 წლის დასაწყისში. შემდგომი იქნება 2022, 2023 და 2024 წლებში.

საკონტაქტო მისამართი და ინფორმაცია

APPEAR-ის ოფისი

OeAD – GmbH – ავსტრიის განათლებისა და ინტერნაციონალიზაციის

სააგენტოში

Ebendorferstrasse 7

1010 Vienna, ავსტრია

ელ.ფოსტა: appear@oead.at

ვებ-გვერდი: www.appear.at